**პროაქტივი**

# ჩაგვრის (ბულინგის) აღმოფხვრისა და პრევენციის სტრატეგია სკოლებში

**ავტორი**
გაიპარაშვილი მარიამი

**კვლევის ასისტენტი**
ტყეშელაშვილი ნინო

შინაარსი

1. შესავალი

2. საქართველოში

არსებული მდგომარეობა

და გამოწვევები

3. საერთაშორისო

სტანდარტები

4.შედარებითი ანალიზი

5. რეკომენდაციები

## სარჩევი


**I. შესავალი ..... 3**

**II. საქართველოში არსებული მგომარეობა და გამოწვევები ..... 4**

1. კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებები ..... 4
2. ძალადობის პრევენციის მექანიზმი და პროგრამები ..... 5
3. არსებული გამოწვევები ..... 10

**III. საერთაშორისო სტანდარტები ..... 13**

1. გაერო ..... 13
2. ევროპის საბჭო ..... 14
3. ევროკავშირი ..... 14
4. საერთაშორისო კვლევები ..... 15

**IV. შედარებითი ანალიზი ..... 17**

1. ავსტრია ..... 18
2. ამერიკის შეერთებული შტატები ..... 19
3. ბელგია ..... 20
4. გაერთიანებული სამეფო ..... 20
5. ესტონეთი ..... 21
6. კანადა ..... 21
7. კვიპროსი ..... 22
8. ლიტვა ..... 22
9. ნორვეგია ..... 23
10. პორტუგალია ..... 24
11. რუმინეთი ..... 24
12. სლოვენია ..... 25
13. უნგრეთი ..... 26
14. ფინეთი ..... 27
15. შვედეთი ..... 27
16. ჰოლანდია ..... 28
17. ქვეყნებისთვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციები ..... 28

**V. რეკომენდაციები ..... 30**

# I. შესავალი

სკოლაში ჩაგვრა (ბულინგი) ერთ-ერთი ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით  და ყველა ქვეყანა პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევს. ფსიქოლოგების განმარტებით, ბულინგი არის ქცევის აგრესიული პატერნი და არა ცალკეული ინციდენტები, რომლის უყურადღებოდ დატოვება დაუშვებელია. მისთვის დამახასიათებელია ძალთა არათანაბარი განაწილება: მჩაგვრელი ცდილობს საზოგადოებაზე გავლენის მოპოვებას მსხვერპლის ჩაგვრის გზით, ხოლო მსხვერპლი თავს სუსტად გრძნობს და არ ეწინააღმდეგება ჩაგვრას. ვირტუალური სივრცის განვითარებასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კიბერ-ბულინგსაც, რადგან მჩაგვრელებს ანონიმურად დარჩენა შეუძლიათ, ცრუ/შეურაცხმყოფელი ინფორმაცია კი სწრაფად ვრცელდება.

კვლევის მეორე თავი მოიცავს საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზსა და გამოწვევების იდენტიფიცირებას. ამ მიზნით, მოზარდებში ასოციალური ქცევისა და ჩაგვრის თაობაზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი კვლევა გაანალიზდა. ამასთან, სსიპ პარლამენტის კვლევითმა ცენტრმა (შემდგომში ცენტრი) სსიპ მანდატურის სამსახურიდან ბულინგთან ბრძოლისა და პრევენციის თაობაზე შემუშავებული ყველა დოკუმენტი გამოითხოვა. მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში და კვლევაში იდენტიფიცირებულია ის სამომავლო ნაბიჯები, რაც პრობლემის აღმოფხვრისთვის უნდა გადაიდგას. ნაშრომი მოიცავს რეკომენდაციებს, თუ რა გზებით უნდა მოხდეს არსებული სტრატეგიებისა და დოკუმენტების პრაქტიკაში დანერგვა.

კვლევის მესამე ნაწილი ემყარება საერთაშორისო გამოცდილებას და მიმოიხილავს იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომელიც საქართველოსთვის სავალდებულოა და ბულინგთან ბრძოლის სტანდარტს აწესებს. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ემყარება გაეროს, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის დოკუმენტებსა და ამ ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სოციალური კვლევების შედეგებს.

სკოლაში ბულინგთან ბრძოლის პოლიტიკისა და საკანონმდებლო დოკუმენტები  განათლების ფსიქოლოგიის თეორიებსა და სოციოლოგიურ კვლევებს ემყარება. აქედან გამომდინარე, პარლამენტის კვლევითი ცენტრის მიერ მომზადებული ანალიტიკური კვლევა მიმოიხილავს იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომელთაც წარმატებით დანერგეს სხვადასხვა თეორია და სკოლაში ბულინგის შემთხვევები მნიშვნელოვნად შეამცირეს.[1] კვლევის მეოთხე ნაწილი წარმოადგენს

[1] PISA 2015 RESULTS (VOLUME III): STUDENTS' WELL-BEING, OECD 2017, გვ. 136; დამატებითი ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით იხ.: http://www.oecd.org/

შედარებით-სამართლებრივ ანალიზს. საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ცენტრმა შედარებით-სამართლებრივი კვლევა ჩაატარა და გაანალიზა საუკეთესო პრაქტიკა. ამასთან, ცენტრმა შეკითხვით მიმართა ECPRD-ს (The European Centre for Parliamentary Research and Documentation) და წევრი ქვეყნების პარლამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია. შესაბამისად, კვლევა სრულად აანალიზებს შემდეგი ქვეყნების პრაქტიკას: **ავსტრია; ამერიკის შეერთებული შტატები; ბელგია; გაერთიანებული სამეფო; ესტონეთი; კანადა; კვიპროსი; ლიტვა; ნორვეგია; პორტუგალია; რუმინეთი; სლოვენია; უნგრეთი; ფინეთი; შვედეთი და ჰოლანდია.**

ბოლო თავი ეთმობა დასკვნასა და არის კვლევის შემაჯამებელი ნაწილი. ამასთან, წარმოდგენილია არსებული გამოწვევები და გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

# II. საქართველოში არსებული მგომარეობა და გამოწვევები

## 1. კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებები

ბავშვთა უფლებათა კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა დაინერგოს ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა შორის ჩაგვრის, პრევენციის და შესაბამის ფაქტებზე სათანადო რეაგირების პროგრამები და მექანიზმი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა შორის ჩაგვრის, პრევენციის და შესაბამის ფაქტებზე სათანადო რეაგირების პროგრამებს შეიმუშავებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ამ კოდექსის გათვალისწინებით. 53-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მის შესახებ შეტყობინებისთვის, გასაჩივრებისთვის, რეფერირებისა და გამოძიებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

ბავშვთა უფლებათა კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით

ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება: საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება; მშობლისა და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მხარდაჭერა აღზრდის პოზიტიური, არაძალადობრივი მეთოდებისა და უნარების განვითარებით, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების, კონსულტაციის გაწევით და ინფორმაციის მიწოდებით; განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტის, კულტურისა და მართლმსაჯულების სფეროებში ბავშვთან და ბავშვის საკითხებზე მომუშავე პირების სპეციალიზებული სწავლება და ინფორმირება, მათ შორის, ბავშვისთვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნისა და ძალადობის შემცველი სოციალური ნორმების შეცვლის მიზნით; ბავშვის მიმართ ძალადობის რისკების, ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციის, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ბავშვის ძალადობისგან დაცვის მექანიზმების საკითხებზე საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში; სხვადასხვა ფორმის ძალადობის აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების, პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვის მონაწილეობის ხელშეწყობა; სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, მათ შორის, ფინანსური სახსრებით, ამ ორგანიზაციების მიერ ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის კანონიერი მითითებები. **მანდატურის მოვალეობაა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ძალადობის მათ შორის ბულინგის საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.**

## 2. ძალადობის პრევენციის მექანიზმი და პროგრამები

უსაფრთხო სკოლის პროგრამა განათლების სამინისტრომ UNICEF-ის დახმარებით დაიწყო. ის სკოლებში ძალადობის შემცირებას და ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ხელშეწყობას გულისხმობდა. 2010 წელს, მანდატურის ინსტიტუტის შემოღებით უსაფრთხო სკოლის თავდაპირველი გეგმა მოდიფიცირდა.[2]

[2] დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://liberali.ge/articles/view/28334/usafrtkho-skola--gamotsvevebi-da-shefasebebi

საქართველოს განათლების სისტემაში პირველად გაჩნდნენ **სოციალური მუშაკები,** რომლებიც სკოლებში ჯანსაღი, პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფითა და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერით მოსწავლეებს სხვადასხვა სოციალური ბარიერის დაძლევაში დაეხმარებიან.[3] აღნიშნული მისასალმებელი რეფორმაა, რადგან სკოლაში სოციალური მუშაკების ინტეგრირება შეამცირებს და აღმოფხვრის საგანმანათლებლო პროცესებში ბავშვების ეფექტიანი ჩართულობისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს.

მანდატურის სამსახურის 2019-2020 წლის ანგარიშის თანახმად,[4] მანდატურის სამსახურმა შექმნა კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომელიც გადაუდებელი შემთხვევის დროს, ადგილზე ეცნობა არსებულ სიტუაციას. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და პედაგოგიურ კოლექტივთან. კრიზისული ინტერვენციის ჯგუფის ოპერირების მექანიზმის გაძლიერების კუთხით, მომზადდა კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების წესი და პროტოკოლი; შემუშავდა ჯგუფური ტრავმის მართვის, ასევე, რთული ქცევების იდენტიფიკაციისა და მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრის მოდულები.[5] ზემოთდასახელებული ანგარიშის თანახმად, გატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება:[6]

- → მომზადდა ძალადობის (მათ შორის, ბულინგის, კიბერბულინგის) და სარისკო ქცევების იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მოდული;
- → შემუშავდა თანასწორგანმანათლებელთა სახელმძღვანელო ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის;
- → შეიქმნა ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირების წესები და ფასეულობები;
- → მომზადდა მოსწავლის სოციალური მოწყვლადობის იდენტიფიცირების ინსტრუმენტი;
- → მანდატურის სამსახურმა შეიმუშავა **სასკოლო მედიაციის** კონცეფცია;
- → შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნა დოკუმენტი: **„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.** დოკუმენტში გაწერილია სუბიექტის ფუნქციები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს პრევენციისა და რეაგირების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები;
- → **ონლაინ სივრცეში ძალადობის ამოცნობის მექანიზმის შემუშავებისა და**

[3] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=12008
[4] ონლაინ იხ.: https://bit.ly/2RiqCkB
[5] https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=11371
[6] გვ. 4-8, 15

**დანერგვის მიზნით**, მანდატურის სამსახურმა მოამზადა გზამკვლევი მასწავლებლებისა და სოციალური მუშაკებისათვის;

→ მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2021 წლისთვის, ფუნქციონირებს მანდატურის სამსახურის **ფსიქოსოციალური მომსახურების 10 ცენტრი და 24 საათიანი ცხელი ხაზი.**

სსიპ მანდატურის სამსახურმა, კვლევითი ცენტრის მიმართვის შემდეგ, ოპერატიულად უზრუნველყო შემუშავებული დოკუმენტებისა და ტრენინგ-მოდულების მოწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ გამოგზავნილი დოკუმენტები საკამოდ მრავალფეროვანია და პრობლემას კომპლექსურად აფასებს:

*გაჯეტდამოკიდებულების პრევენციის ტრენინგ-მოდული* მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორისაა ემოციების მართვისა და ემპათიის საკითხები. მნიშვნელოვანია, **აღნიშნული ტრენინგ-მოდული ყველა სკოლაში დაინერგოს.** ასევე, აღსანიშნავია, *ტრენინგის სახელმძღვანელო კიბერდამოკიდებულების* თაობაზე, რომელიც შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდისა და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ერთობლივი პროექტის ფარგლებში და განკუთვნილია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტებისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო აფასებს კიბერბულინგის საფრთხეებს და მის შედეგებს. **მნიშვნელოვანია, ეს სახელმძღვანელო აქტიურად გამოიყენებოდეს პრაქტიკაში, მათ შორის სკოლის მასწავლებლების მიერ.**

შემუშავებულია თეორიული სახელმძღვანელოები: (1) *ტრავმა და ტრავმაზე მუშაობა საკლასო ოთახში (საინფორმაციო რესურსი)*; (2) *ჯგუფური ტრავმის მართვა სკოლებში (თვითმკვლელობის შემდეგ)*. სახელმძღვანელოები ამომწურავად აღწერს ტრავმის ნიშნებს, რისკ ფაქტორებს და მის შედეგებს ბავშვებში. **დეტალურად გაწერს, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური დახმარების წარმართვის საფეხურებს. რეკომენდებულია, პირველი დოკუმენტის ნაწილის გამოცემა, პოპულარიზაცია და ფართო საზოგადებისთვის ხელმისაწვდომ სივრცეში განთავსება. ასევე, მის საფუძველზე სკოლის პერსონალის დატრენინგება.** აღსანიშნავია, რომ მეორე სახელმძღვანელო მორგებულია მანდატურის სამსახურის კომპეტენციაზე. სასურველია, მისი **მოდიფიცირება/ანალოგის შექმნა და სკოლის მასწავლებლებისთვის სახელმძღვანელოდ ქცევა, რომ მათთვისაც იყოს გაწერილი ქცევის სტანდარტი.**

*ბულინგის პრევენციის მიზნით სკოლაში თანატოლთა გაძლიერების გზით თანატოლ მხარდამჭერთა პროგრამა დამტკიცებულია 2019 წელს, მანდატურის სამსახურის მიერ.* თანატოლ მხარდამჭერთა პროგრამა მრავალ ქვეყანაში ხორციელდება, მათ შორის არის დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ბელგია, ხორვატია, საბერძნეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ა.შ. აღნიშნულ პროგრამის ძირითადი მიზანი ბულინგის შემსწრეების გაძლიერებაა. აღსანიშნავია,

რომ პროგრამის ეფექტურად მუშაობა დამოკიდებულია **პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე,** რომელიც დაეხმარება სკოლას ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაში. მანდატურის სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში გაწერილი ეფექტური პოლიტიკის დოკუმენტის კრიტერიუმები: დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა სახის ბულინგს; სასურველია გამოყენებული იქნას ალტერნატიული სახელები ,,მოძალადის" და ,,მსხვერპლის" აღსანიშნად; მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი პროცედურა, თუ რა უნდა გაკეთდეს ბულინგის შემთხვევაში; გაწერილი უნდა იყოს, თუ ვის მიმართონ ბავშვებმა ბულინგის დროს, ასევე, როგორ ხდება დოკუმენტაციის შენახვა; განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს კიბერბულინგზე ან თუ ადგილი აქვს ბულინგს სკოლის შემდგომ; აღწერილი უნდა იყოს სკოლის სტრატეგია, თუ როგორ ეხმარება ბულინგის სამიზნეებს; აღწერილი უნდა იყოს, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკა და როგორ ექნება პერსონალს, მოსწავლეებს, მშობლებს მასზე წვდომა. თითოეულ სკოლაში გასათვალისწინებელია სხვადასხვა გარემოება და სკოლებმა თავად უნდა განსაზღვრონ რა მეთოდები იქნება მათთვის ეფექტური. სასურველია, ინფორმაცია მოიძიონ ინტერვიუებისა და კითხვარების სახით, ამასთან კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა უმნიშვნელოვანესია.

თანატოლ მხარდამჭერთა პროგრამის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგი და სამუშაო შეხვედრები. თანატოლ მხარდამჭერთა ჯგუფი შედგება 20-30 ადამიანისგან. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, შესაძლებელია ახალი მოსწავლეების გადამზადება თანატოლ მხარდამჭერებად. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოორდინატორი და სკოლის ადმინისტრაცია. თანატოლ მხარდამჭერთა ძირითადი საქმიანობა არის: მხარი დაუჭირონ მოწყვლად მოსწავლეებს და დახემარონ მათ, თავი იგრძნონ უსაფრთხოდ; განაცხადონ ბულინგის პრობლემების შესახებ სკოლის თანამშრომლებთან; აუხსნან მოსწავლეებს, რომ ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა ეს არის ზრუნვა სხვა ადამიანზე; იმუშაონ ბულინგის მსხვერპლ მოსწავლეებთან და მათთან ვინც თავად ახორციელებს ბულინგს (იგულისხმება შემთხვევის შემდეგ მხარდაჭერა და რეაგირება); მიიღონ მონაწილეობა ბულინგთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების განხილვაში; ჩაატარონ კამპანიები და მიაწოდონ ბულინგის შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებს და თანამშრომლებს.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა სკოლისთვის პოლიტიკის დოკუმენტის გონივრულ ვადაში შემუშავების ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე უნდა გაიწეროს. ვადის გასვლის შემდეგ სამინისტრომ უნდა შეამოწმოს, თუ შესრულდა ვალდებულება და ბულინგთან ბრძოლის პოლიტიკის დოკუმენტი რამდენად აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმებს. ამ პროცესში დახმარების სახით, შესაძლოა, გაიწეროს მოდელური პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მოდიფიცირებაც თავისებურების გათვალისწინებით თავად სკოლა**

**უზრუნველყოფს. თანატოლ მხარდამჭერთა პროგრამა უნდა დაინერგოს ყველა სკოლაში. ამასთან, ზემოთდასახელებული ბრძანების დანართები კარგად აღწერს პრობლემის არსს და სახელმძღვანელოს ფუნქციის მატარებელიცაა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სკოლის მასშტაბით ამ დოკუმენტის თაობაზე ცნობიერების ამაღლება იყოს უზრუნველყოფილი.**

*მოწყვლადობის ინდიკატორის ფორმას* ამომწურავი ჩამონათვალი აქვს და გზამკვლევიც დეტალურად მიმოიხილავს ყველა შემთხვევასთან დაკავშირებულ საფრთხეებს. მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტების პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება. ეს უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ ანგარიშვალდებულებას სკოლისთვის, რომ შეფასებისას ამ დოკუმენტით იხელმძღვანელოს. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების მიხედვით, სკოლა, როგორც რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტი, ვალდებულია, უზრუნველყოს ძალადობის შემთხვევის შესახებ დაუყოვნებელი შეტყობინება შესაბამის სტრუქტურებთან (სოციალური მომსახურების სააგენტო, პოლიცია, სამედიცინო დაწესებულება). რეფერირების დოკუმენტი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა არის ძალადობა, მისი სახეები, როგორ შეიძლება გამოვლინდეს და რა რეაგირება შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სტრუქტურის და მათ შორის სკოლის წარმომადგენლებს. თუმცა, **მოწყვლადობის შეფასება და განსაზღვრა უფრო მეტად ორიენტირებულია ძალადობის პრევენციაზე, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება.**

მნიშვნელოვანი დოკუმენტია *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში კრიზისის მართვის წესი,* რომელიც კრიზისად საკმაოდ მძიმე შემთხვევებს მოიაზრებს, მათ შორის: (1) *მწვავე კონფლიქტური სიტუაცია;* (2) *ნებისმიერი დაბალი ან მაღალი დონის სირთულის ქცევა, რომელიც ნორმალურ სასკოლო ცხოვრებას აფერხებს და რომლის მართვა სკოლას უჭირს.* კონფლიქტით გამოწვეული კრიზისული სიტუაციის მართვისას სკოლა მიმართავს სასკოლო მედიაციის პროცესს, სასკოლო მედიაციის სტანდარტული გეგმის მიხედვით. მისასალმებელია, რომ კრიზისის მართვის წესი რეაგირების საფეხურებს დეტალურად აღწერს. დამატებით, მნიშნელოვანია, რომ დოკუმენტმა **ამომწურავად ჩამოთვალოს რა შეიძლება იყოს დაბალი/მაღალი დონის სირთულის ქცევა.** ასევე, ამ წესის საფუძველზე სასურველია, ანალოგიური დოკუმენტის შექმნა, რომელიც აღწერს ბულინგზე რეაგირების წესს. **შესაძლოა, კრიზისის მართვის წესი გაფართოვდეს და ცალსახად მოიცავდეს ბულინგს/ჩაგვრის შემთხვევებსაც.**

კრიზისის მართვის წესს ერთვის ორი ინსტრუქცია: (1) *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების ინსტრუქცია;* (2) *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მწვავე კონფლიქტურ სიტუაციებზე რეაგირების ინსტრუქცია.* მეორე ინსტრუქციის ანალიზი

ცხადყოფს, რომ ის არ მოიცავს ბულინგის ყველა შემთხვევას და ორიენტირებულია ძალადობის „მწვავე შემთხვევების“ აღმოფხვრაზე. ინსტრუქციის თანახმად, კონფლიქტური სიტუაცია კრიზისულია, როდესაც: *მოსწავლეებს შორის მწვავე სიტყვიერი დაპირისპირებაა; მოსწავლეებს შორის მწვავე ფიზიკური დაპირისპირებაა; მოსწავლეებს შორის ძალადობის მუქარაა; მოსწავლეები ავლენენ სხვა თვით ან სხვის დამაზიანებელ ქცევას/მუქარას.* ბულინგის ფარგლები ბევრად უფრო ფართოა და შესაძლოა ცდებოდეს დასახელებულ შემთხვევებს, მაგრამ გავლენის თავლსაზრისით არანაკლებ კრიზისულია. მაგალითად, მუდმივი სიტყვიერი დამცირება, გარიყვა, ბოროტი კრიტიკა, დაცინვა, შეურაცხმყოფელი სახელების დაძახება და სხვა. შესაბამისად, ცალსახაა, რომ **კრიზისის მართვის წესი საჭიროებს გაფართოებას, სადაც ბულინგის შემთხვევებზე რეაგირების საფეხურები ცალკე ქვეთავად მოწესრიგდება და, ამასთან, შემუშავდება დამოუკიდებელი ინსტრუქცია.** ამავე ინსტრუქციის თანახმად, *მანდატური/უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში თუ ასეთი მომსახურების მიღების საჭიროება სახეზეა.* როგორც საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, **ბულინგის ყველა შემთხვევაში ჩართული უნდა იყოს სკოლის ფსიქოლოგი, მანდ** უნდა იმუშაოს ყველა ჩართულ მხარესთან და მშობლებთან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პირების გადამისამართება ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. შესაბამისად, წესის გაფართოებისას მნიშვნელოვანია ამ ასპექტის გათვალისწინება

*სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა მშობლებისათვის კანონიერი წარმომადგენლისათვის მისაწოდებელი ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობისა და პრევენციის მოდულის დამტკიცების შესახებ* ბრძანება გამოქვეყნდა 2019 წელს. ბრძანებას თან ერთვის ტრენინგ-მოდული, რომელიც ყველა საკითხს სრულყოფილად აფასებს. **მნიშვნელოვანია, რომ ეს ტრენინგი ჩაუტარდეთ როგორც მასწავლებლებს, ასევე ყველა მშობელს.** ფართო მასებისთვის მისაწვდომობის გასაზრდელად, შესაძლოა ToT ტრენინგი ჩაუტარდეთ მასწავლებლებს.

## 3. არსებული გამოწვევები

მანდატურის სამსახურის მიერ დასახელებული არაერთი დადებითი აქტივობის მიუხედავად, ძნელია დადებით ტენდენციაზე მსჯელობა, რადგან დასახელებული დოკუმენტები არ არის საჯარო და აქტიურად არ გამოყენება პრაქტიკაში. დოკუმენტები, რომლებიც შინაარსობრივად აფასებს პრობლემებს

არის დამხმარე ხასიათის და მისი აქტიურად გამოყენების ვალდებულება არ აქვთ სკოლებს. სწორედ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ტრენინგების ჩატარება და პოლიტიკის დოკუმენტის/პროგრამების თაობაზე მანდატურის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინება. ამასთან, თითოეული აქტივობისა და დოკუმენტის პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე, კვლევითი ცენტრის მიერ ზემოთდასახელებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ამასთან, პრობლემის მასშტაბებიდან გამომდინარე, 50 სოციალური მუშაკი არ არის საკმარისი, რადგან ისინი ვერ შეძლებენ ყველა სკოლაში ყოფნას და ძალადობის ფაქტების პრევენციას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოსოციალური მომსახურების 10 ცენტრი არ არის საკმარისი. მისასალმებელია ბავშვთა ცხელი ხაზის (111) 24 საათიან რეჟიმში მუშაობა, თუმცა უფრო აქტიურად უნდა ხდებოდეს ცხელი ხაზის არსებობის შესახებ ბავშვებისთის ინფორმაციის მიწოდება. ასევე, მნიშვნელოვანია ყველა დოკუმენტი საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი, დაინერგოს ის სკოლებში და ბავშვებს მათთვის მარტივ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია როგორ გამოიყენონ რეაგირების მექანიზმები. მისასალმებელია მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა, თუმცა, ეფექტურობის შეფასებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია, რამდენად აქიუტრად გამოიყენება ის.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის კვლევის თანახმად,[7] განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტი დადასტურდა 41 (14%) არასრულწლოვნის მიმართ, სოციალური მუშაკის შეფასების თანახმად ძალადობის შესახებ არსებობს ეჭვი 26 (9%) არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 231 (77%) არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.[8] 298 არასრულწლოვნიდან 222-ს (74%) არ ჰქონდა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, 8-ის (3%) მიმართ არსებობს ეჭვი, ხოლო 68 (23%) არასრულწლოვანს ჰქონდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება.[9] არასრულწლოვანთან განრიდების ხელშეკრულება ძირითადად, 3-დან 6 თვემდე ვადით ფორმდება და არასრულწლოვნებისთვის შეთავაზებული სერვისები აერთიანებს საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, ფსიქო-სარეაბილიტაციო და სხვა აქტივობებს.[10]

სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალური ანგარიშის თანახმად, საყურადღებოა მოსწავლეთა შორის ბულინგი, რომელიც შემდეგ ქმედებებში

---

[7] კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, ონლაინ იხ.: https://bit.ly/2SRszF9

[8] იქვე, გვ.23

[9] იქვე, გვ. 24

[10] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2020, გვ. 22, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3vPxWmy

გამოიხატება: დამცირება, დაცინვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, ზედმეტსახელების დარქმევა, პირადი ნივთების დამალვა, კიბერბულინგი. უფლებების დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირებისთვის მოსწავლეები არ მიმართავენ სხვადასხვა დაცვის საშუალებებს.[11] 2017 წლის სპეციალური ანგარიშში კი გამოქვეყნებულია ძალადობის თაობაზე მონიტორინგის შედეგები.[12] მაღალია ჩაგვრის შემთხვევების მაჩვენებელი და მოსწავლეებში დაბალია ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების თაობაზე ცნობიერება. ხშირ შემთხვევაში სკოლას არ აქვს მოსწავლეთა არასასურველ ქცევებზე შესაბამისი რეაგირების კომპეტენცია და არ არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მანდატურის სამსახურსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

არასამთავრობო სექტორის კვლევების თანახმად, ბულინგი/ჩაგვრა როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა ბავშვებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ამ ტიპის ძალადობის შედეგად, ბავშვებს უყალიბდებათ სხვადასხვა ტიპის ჯანმრთელობის პრობლემები (თავის ტკივილი, მეტყველების შეფერხება, ნერვოზული ქცევა, თვითდაზიანებები) და საჭიროებენ პროფესიულ დახმარებას.[13] მოსწავლეებს მოძალადის ვინაობის გამხელა არ სურთ და მასწავლებლებიც ვერ ხედავენ მკაფიო როლს ძალადობის გადაჭრაში. ამასთან, სკოლაში დისკრიმინაციური ქვეტექსტით, მათ შორის ჰომოფობიური და გენდერული, ჩაგვრა და გარიყვა არ არის იშვიათი მოვლენა. კვლევაში აღნიშნულია, რომ მასწავლებლებიც ვერ ხედავენ მკაფიო როლს ძალადობის გადაჭრაში.[14]

---

[11] სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ,ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ონლაინ იხ.: https://bit.ly/2SR0OfU

[12] სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში ,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3uVLEDv

[13] ბავშვის მიმართ ძალადობა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018, გვ. 13, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3cgaLtX

[14] ქვიარ *ბულინგი* სკოლაში, ნუკრი ტაბიძე, ხათუნა ხარჩილავა, 2020, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34LDgvo

# III. საერთაშორისო სტანდარტები

## 1. გაერო

გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ კრძალავს ბავშვების ჩაგვრას. მე-19 მუხლის თანახმად, ბავშვები დაცულნი უნდა იყვნენ ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყოს ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ. **მე-3 მუხლის** თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის...მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, და მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით. ხოლო, **28-ე მუხლის** თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასკოლო დისციპლინას იცავდნენ ბავშვის ადამიანური ღირსების, პატივისცემის გამომხატველი მეთოდების დახმარებით და წინამდებარე კონვენციის შესაბამისად.

გაეროს კომიტეტმა განმარტა, რომ ბულინგი ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ხშირად წარუშლელ კვალს ტოვებს ბავშვის განვითარებაზე, შესაბამისად, ზრდასრულთა როლი ამ საკითხის დარეგულირებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[15] კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით  თუ ეს ეხება ბულინგს, აუცილებელია, პროცესში ისმოდეს ბავშვის ხმა და მისი მოსაზრებები იქნეს გათვალისწინებული.[16] სკოლა, რომელიც უშვებს ბულინგს, ვერ აკმაყოფილებს კონვენციის 29-ე მუხლის მოთხოვნებს.[17] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (69/158) აღნიშნულია, რომ ბულინგთან და კიბერბულინგთან ბრძოლაში სტატისტიკური

---

[15] Committee on the Rights of the Child General comment No. 13 (2011) The right of the child to freedom from all forms of violence, §27: *Violence among children. This includes physical, psychological and sexual violence, often by bullying, exerted by children against other children, frequently by groups of children, which not only harms a child's physical and psychological integrity and well-being in the immediate term, but often has severe impact on his or her development, education and social integration in the medium and long term.*

[16] იქვე, §63

[17] General Comment No.1: The Aims of Education CRC/GC/2001/1, April 2001, §19

ინფორმაციის (სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა ნიშნების გათვალისწინებით) შეგროვება უმნიშვნელოვანესია.[18]

## 2. ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური რეკომენდაცია შეიმუშავა ბულინგის თაობაზე. ის მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ შესაბამისი ზომა და აღმოფხვრან დისკრიმინაციის ყველა ფორმა, ძალადობა, მათ შორის, შევიწროება და ბულინგი.[19] ამასთან, ევროპის საბჭო, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცნობიერების ამაღლებას და ბულინგთან ბრძოლის საუკეთესო გზად ადამიანის უფლებების სწავლებას მიიჩნევს. ევროპის საბჭოს არაერთი სასწავლო მასალა აქვს მომზადებულ ამ თემატიკაზე.[20]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში განმარტა, რომ სკოლაში ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობაა. ეს ვალდებულება მათ შორის მოიცავს ბავშვების ერთმანეთის მხრიდან ძალადობისგან დაცვას და სკოლამ ამისთვის ყველა პრევენციული საშუალება უნდა გამოიყენოს.[21]

## 3. ევროკავშირი

ბულინგის შესახებ ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ძალადობასთან ბრძოლის დროს მასწავლებელთა როლი ყველაზე მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ ისინი იყვნენ მიუკერძოებლები და მკაცრად იცავდნენ თანასწორობის პრინციპს, რადგან შესაძლოა მათაც ჰქონდეთ გარკვეული სტერეოტიპული დამოკიდებულება უმცირესობის ჯგუფების მიმართ. ამასთან, მასწავლებლებს  კონფლიქტის გადაჭრის შესაბამისი უნარები უნდა ჰქონდეთ.[22]

---

[18] The UN General Assembly, resolution 69/158, Protecting children from bullying, ონლაინ იხ.: https://undocs.org/A/RES/69/158

[19] Recommendation CM / Rec (2010) 7 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education, ონლაინ იხ.: https://rm.coe.int/16803034e5

[20] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.coe.int/en/web/children/violence-in-schools

[21] ECtHR, *Kayak v. Turkey,* 60444/08, 10.07.2012

[22] How to Prevent and Tackle Bullying and School Violence Evidence and Practices for Strategies for Inclusive and Safe Schools, European Union, 2016, გვ.66

## 4. საერთაშორისო კვლევები

ბულინგს და კიბერბულინგს აქვს მავნე წარუშლელი ზეგავლენა როგორც მსხვერპლზე, ისე მჩაგვრელზე. ის სკოლაში აყალიბებს ასოციალურ გარემოს, რაც აფერხებს ბავშვების ემოციურ განვითარებას, აფერხებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს და აკადემიურ მოსწრებაზეც უარყოფითად აისახება. აგრესიული გარემო პირდაპირ კავშირშია მსხვერპლების დეპრესიასთან, მარტოობის განცდასთან, შფოთვებთან და დაბალ თვითშეფასებასთან.[23] მჩაგვრელების ქცევა, ხშირად განპირობებულია გაღიზიანებით, დამცირებულად ყოფნის შეგრძნებით, ბრაზით ან პროტესტით სოციალური/სასკოლო ნორმების მიმართ. ხშირად, მჩაგვრელები თავადვე წარმოადგენენ მსხვერპლებს.[24] ამასთან, ბიჭებში უფრო ხშირია ბულინგის ფიზიკური ფორმით გამოვლინება, მაშინ როდესაც, გოგოები უფრო მეტად ვერბალურ ფორმებს იყენებენ.[25]

გაეროს ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ბულინგის და ძალადობის პრობლემის მოგვარებაში უნდა ჩაერთოს: სპეციალიზებული კონსულტანტი, მედიატორი და ფსიქოლოგი. ამასთან, სკოლაში სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ დასაქმებულები. უნდა არსებობდეს სკოლის თანამშრომლების ეთიკის კოდექსი (*clear code of conduct*), რომლის თანახმად, ჩაგვრის შემთხვევაზე არასათანადო რეაგირებისთვის, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.[26] სკოლაში ძალადობის აღმოსაფხვრელად კრიტიკულად მნიშვნელოვანია მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ეთიკურ სტანდარტებს, აყალიბებს სკოლის პასუხისმგებლობის ფარგლებს და ბავშვისთვის უსაფრთხო კონსულტაციის სისტემას ქმნის.[27]

ექსპერტთა რეკომენდაციების თანახმად, ბავშვებსაც შესწევთ უნარი თანატოლები დაიცვან და ამისათვის შეთავაზებული უნდა იყოს უსაფრთხო, დამოუკიდებელი და კონფიდენციალური მექანიზმი.[28] უნდა არსებობდეს გასაჩივრების მექანიზმი და მკაფიოდ გაწერილი პროცედურები, რომელიც ყველა ბავშვისთვის თანაბრად მისაწვდომია. ბავშვთა სატელეფონო დახმარების ხაზი

---

[23] Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, Expert Consultation on protecting children from bullying and cyberbullying, Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, §4, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE

[24] Bullying and Victimization Among Children, Rashmi Shetgiri, ონლაინ იხ.: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3766526/

[25] Tackling violence in schools:a global perspective, Bridging the gap between standards and practice, UN, 2016, გვ. 5, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3c9l0A8

[26] იქვე, გვ. 22-24, გვ. 30

[27] Office of the special representative of the Secretary-General on Violence against children, Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, 2016, §76, §§81-82, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE

[28] Tackling violence in schools:a global perspective, Bridging the gap between standards and practice, UN, 2016, გვ. 5, 15, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3c9l0A8

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ძალადობის შესამცირებლად, რადგან ბავშვებს კონფიდენციალურობის მეტი გარანტია აქვთ და უფრო თამამად შეძლებენ ძალადობის ფაქტებზე საუბარს. თუმცა, ეს მექანიზმები ვერ იმუშავებს, თუ სახელმწიფოში არ არსებობს რეფერირების ქმედითი სამსახურები, რომლებიც შეძლებენ მათ რეალურ დახმარებას.[29] ამ პროცესში მნიშვნელოვანია თანასწორობის დაცვა და მოწყვლადი ჯგუფებისათვის მექანიზმის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. მაგალითად, თუ ხდება გენდერული ნიშნით ძალადობა, მნიშვნელოვანია კურიკულუმის და სასკოლო მოდულის იმგვარი ცვლილება, რომელიც მიმართული იქნება ბიჭებისა და გოგონებისთვის გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებისკენ. კარგი ინსტრუმენტი შესაძლოა იყოს სექსუალური განათლების კლასებში გენდერული როლების განხილვა და ოჯახში ძალადობის საკითხების შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციას და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება ამ საკითხებზე.[30]

ბულინგის ეპიზოდები ხშირად შეუმჩნეველია მასწავლებლებისთვის, რადგან ის ისეთ ადგილებში ხდება, სადაც მასწავლებლების კონტროლი ნაკლებია. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაბნელებულ დერეფნებს, მოფარებულ/დაუცველ კიბეებს, საპირფარეშოებს და სათამაშო მოედნებს.[31] მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ბულინგი დისკრიმინაციასთან მჭიდრო კავშირშია და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან.[32] ისინი შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან,[33] ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ პირები, განსხვავებული ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის წარმომადგენლები.

ბულინგის პრევენციის პროგრამის ინტეგრირების საუკეთესო საშუალებაა, საკლასო სივრცეში მისი დანერგვა, რომელსაც სპეციალიზებული თანამშრომლები მართავენ, მათ შორის, სოციალური მუშაკები.[34] ბულინგის ყველა ფორმაზე სკოლის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს მკაფიო გზავნილი, რომ ეს დაუშვებელია. ეს უნდა

---

[29] იქვე, გვ. 20

[30] იქვე

[31] Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, Expert Consultation on protecting children from bullying and cyberbullying, Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, §§28-29, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE

[32] იქვე, §§32-35

[33] იქვე, §35, *Poverty contributes to a lack of self-esteem, and poor children are often victims of bullying, humiliation and abuse, feeling powerless to speak out for themselves for fear that they will not be believed or that they will be blamed for having caused the incidents of violence. Evidence shows this to be the case. Children and young people living in extreme poverty are more likely to be suspended or expelled from school, and their parents may feel powerless or may lack information to defend them from discriminatory actions by school officials or from bullying by other children.*

[34] იქვე, §§100-101

მოხდეს შემთხვევის სათანადო გამოძიებითა და ქცევის სიმძიმის გათვალისწინებით, პროპორციული და კრეატიული ზომების გამოყენებით. ქმედების რეაგირების გარეშე დატოვება დიდ ემოციურ დარტყმას აყენებს მსხვერპლს (მიტოვებულობის განცდა, სირცხვილი, იზოლაცია) და რე-ვიქტიმიზაციის საფრთხეს ზრდის.[35]

კიბერბულინგთან ბრძოლის სტრატეგიებიდან, აღსანიშნავია Facebook-ისა და იელის (*Yale Center for Emotional Intelligence*) კოლაბორაცია და შექმნილი პლატფორმა (*Bullying Prevention Hub: Put a Stop to Bullying*). ის მოიცავს ინდიკატორებს, რომელიც მოზარდებს, მშობლებს და აღმზრდელებს ეხმარება ბულინგის ინდიკატორების ამოცნობაში. ასევე, მარტივი ფორმითაა ახსნილი, თუ როგორ უნდა მოხდეს ონლაინ-ჩაგვრის გასაჩივრება და დაბლოკვა.[36]

## IV. შედარებითი ანალიზი

შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქვეყნების უმრავლესობა საკანონმდებლო დონეზე აწესრიგებს სკოლაში ბულინგის საკითხს. რეგულაციები ეხება ბულინგის შემთხვევაზე რეაგირებას, ხოლო პოლიტიკის დოკუმენტები ეთმობა სტრატეგიებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ძალადობის შემთხვევების პრევენცია. დიდ წილი პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას, რომელსაც ევალება შიდა დოკუმენტების და პროცედურების დამტკიცება, ასევე, ყველა მასწავლებლის გადამზადება. ამასთან, სკოლების უმრავლესობაში გამოყოფილია სპეციალური თანამშრომელი, რომელიც ბულინგის შემთხვევებზე რეაგირებს. შესაძლოა, ეს პირი იყოს ფსიქოლოგი, მედიატორი, სოციალური მუშაკი ან სპეციალურად გადამზადებული მასწავლებელი, რომელსაც სათანადო უნარ-ჩვევები აქვს. ბულინგზე არასათანადოდ რეაგირების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას და მასწავლებელს. ზოგადი პრევენციის დოკუმენტების გარდა, შემუშავებულია სპეციალური მოდულები და მასალები, რომლის დახმარებითაც მასწავლებლებს შეუძლია მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდონ ძალადობის სხვადასხვა ფორმის თაობაზე.[37]

ქვეყნების ნაწილი სტრატეგიის სახით, ბულინგთან ბრძოლის ირიბ გზას ირჩევს,[38] მაგალითად, **დანიაში** არსებობს პარლამენტის დღე ბავშვებისათვის, როდესაც მათ შეუძლიათ გააჟღერონ სკოლაში არსებული პრობლემები და ხმა მისცენ მისი გადაჭრის გზებს. ანალოგიური მიდგომებია დანერგილი საფრანგეთსა

[35] იქვე, §103
[36] იქვე, §68
[37] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://bit.ly/2RgGXpW; https://bit.ly/3pjJagP
[38] Violence reduction in Schools – how to make a difference, Council of Europe, 2006, გვ. 18-19, ონლაინ იხ.: https://rm.coe.int/168047c241

და შვედეთში. ამასთან, პრევენციისთვის საუკეთესო საშუალება არის მუდმივი მონიტორინგი იმ ადგილებისა, სადაც მოსწავლეები დროს ატარებენ, მათ შორის, სათამაშო მოედნები და სასადილოები. დადებითად არის შეფასებული ბელგიაში დამკვიდრებული სქემა (*positive report card*). მისასალმებელია მოსწავლეებისათვის სოციალური კომპეტენციასა და უნარების გაძლიერების ტრენინგები, რომელიც მიმართულია თვითშეფასების ამაღლებისკენ (*Pathways Programme, Ireland*). ამასთან, არსებობს მჩაგვრელებზე მორგებული პროგრამები, რომელიც ორიენტირებულია მათი ქცევის ცვლილებაზე *("No blame" approach-Maines and Robinson 1992; "Method of shared concern"- Pikas 2002*).

## 1. ავსტრია

ავსტრიის პარლამენტის მიერ კვლევითი ცენტრისთვის გამოგზავნილი წერილის თანახმად, ბულინგის პრევენციის საკითხს ფედერალურ დონეზე სკოლის ინსტრუქციის აქტი აწესრიგებს.[39] ამასთან, რეგიონულ დონეზე არსებობს სპეციალური კანონები (*Jugendwohlfahrtsgesetze*), რომელიც იმავე საკითხს ეთმობა და ფაქტებზე რეაგირების პასუხისმგებლობას ბავშვის რეგიონულ ომბუდსმენს აკისრებს.[40] თუ მოსწავლე 14 წლის ასაკს მიღწეულია, ჩაგვრის შემთხვევაში (მაგ. სიძულვილის ენის გამოყენება, კიბერბულინგი, ფოტოს უნებართვოდ გადაღება, პორნოგრაფიული მასალის გავრცელება და ა.შ.), შესაძლოა, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს.

განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულია ბულინგთან ბრძოლის სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც პროცესის ნაწილად მედიაციას მოიაზრებს.[41] დასახელებული დოკუმენტი, **ხუთსაფეხურიან პროცედურას მოიცავს,** თუ როგორ უნდა დაბალანსდეს ტოლერანტული დამოკიდებულება და

[39] ონლაინ იხ.: https://bit.ly/3g7gIe5

[40] the Region of Styria: Angebot der Anlauf- und Koordinierungsstelle bei Mobbing; the Region of Upper Austria: Mobbing- und Gewaltprävention der KiJA OÖ; the Region of Vienna/City of Vienna, including all other consultancy services for young people in Vienna: Mobbing-Hilfe: Was tun bei Mobbing in Schule & Arbeit? (wienxtra.at)

[41] The Federal Ministry of Education, Science and Research has issued Guidelines on "Bullying at schools" (2018)

ბულინგთან ბრძოლა.[42] სახელმძღვანელო უთითებს სასწავლო ონლაინ პლატფორმაზე, რომელიც ძალადობის პრევენციისკენ არის მიმართული.[43]

## 2. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერალურ დონეზე, არ არსებობს ბულინგის ამკრძალავი კანონი,[44] თუმცა, ამ საკითხს ნაწილობრივ ფარავს შევიწროებისა და სხვა ტიპის ძალადობის ამკრძალავი კანონები.[45] ასევე, შტატების უმრავლესობას აქვს მიღებული სხვადასხვა აქტი, რომელიც ებრძვის ბულინგს და სკოლებს რეაგირების ვალდებულებას უწესებს. შტატების კანონების უმრავლესობა სკოლებს ავალდებულებს გადაამზადოს პერსონალი ბულინგის პრევენციის საკითხებში.[46] განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს აწესებს ლუიზიანის შტატი, სადაც ყველა თანამშრომელი, ვისაც შეხება აქვს მოსწავლესთან, გადის სპეციალური მომზადების კურსს.[47] ხოლო, ტენესისა და კალიფორნიის სკოლებში, ძალადობის საკითხებზე მუშაობს ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი, რომელიც ბავშვებს უწევს შესაბამის კონსულტაციას.[48]

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბულინგის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.[49] ამასთან, იარაღის ტარებასთან დაკავშირებული მავნე პრაქტიკის გამო, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკოლაში უსაფრთხოების დაცვას, ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, მედიაციის და

---

[42] ***1- Zero tolerance for violence:*** *Any direct violence or verbal insults observed must immediately be stopped; clear communication by the principal and teachers that violence is not tolerated. Take teachers', parents' and colleagues' comments seriously and write a record.* ***2- Validation:*** *we will investigate the suspects, Conduct individual interviews with the pupils concerned, reflect on the participants' motives.* ***3- In the case of confirmed suspicions:*** *Information of the principal and parents. The Guidelines mention the following methods to stop bullying: No Blame Approach, Shared Concern Method, Anti-Violence Approach and Farsta Method.* ***4- Implementation and sustainability check; 5- Prevention:*** *Stay sensitive, empower all pupils in a class, etc.*

[43] Austrian Violence Evaluation Online Tool (AVEO). It offers two evaluation tools for pupils and teachers, to identify any violence issues within a class and for teachers' self-reflexion.

[44] შენიშვნა: ერთი მოსწავლის მიერ მეორეს შევიწროებისას, სკოლას შესაძლოა დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება *Davis v.* Monroe County Board of Education, 526 US 629 (1999)

[45] Title IV and Title VI of the Civil Rights Act of 1964; Title IX of the Education Amendments of 1972; Section 504 of the Rehabilitation Act of 1973; Titles II and III of the Americans with Disabilities Act; Individuals with Disabilities Education Act (IDEA)

[46] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.apa.org/monitor/2016/02/ce-corner

[47] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.stopbullying.gov/resources/laws/louisiana

[48] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.stopbullying.gov/resources/laws/tennessee; https://www.stopbullying.gov/resources/laws/california

[49] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.cdc.gov/violenceprevention/youthviolence/schoolviolence/fastfact.html

კონფლიქტთან გამკლავების უნარების გამომუშავებას, დაჯგუფებაში ჩართვის პრევენციას, სტრესის მენეჯმენტსა და თვითშეფასებაზე მუშაობას.[50]

## 3. ბელგია

ბელგიის ფედერალური პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვალონიის (ფრანგული) პროვინციის კანონი (*art. 8, decree of 24/7/1997*) აკონკრეტებს ძალადობის შემთხვევებში სკოლის პასუხისმგებლობას.[51] 2008 წლის რეგულაციაში ვალდებულება გაიწერა, რომ ნებისმიერი აკრძალული ქმედებისათვის, მათ შორის, ფსიქოლოგიური წნეხისთვის (მუქარა, შეურაცხყოფა, ცილისწამება) სანქციები უნდა იყოს გათვალისწინებული. კონფლიქტის აღმოფხვრაზე სკოლის მედიაციის სამსახურია პასუხისმგებელი.

## 4. გაერთიანებული სამეფო

საკითხის მნიშვნელობისა და სიმწვავიდან გამომდინარე, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა ბულინგის თემაზე ანალიტიკური დოკუმენტი მოამზადა.[52] გაერთიანებული სამეფოს აქტის (*Education and Inspections Act 2006*) 89-ე სექციის თანახმად, უელსში ბულინგის პრევენციაზე პასუხისმგებლობა სკოლებს ეკისრებათ.[53] ძირითადი უფლებამოსილება სკოლის დირექტორს (*The head teacher*) ენიჭება, რომელიც, პერსონალის დახმარებით, აკვირდება სკოლის გარემოს და შემთხვევებზე კონკრეტულ სასჯელს აწესებს.[54]

ჩრდილოეთ ირლანდიის თანადაფინანსებულ სკოლებში (*grant-aided schools*) ბულინგის საკითხს არეგულირებს 2016 წელს მიღებული სპეციალური აქტი.[55] რეგულაციის თანახმად, სკოლის საბჭო (*Board of Governors*) და შიდა პერსონალი წყვეტს, თავად გაუმკლავდეს ბულინგის პრობლემას და გამოიყენოს სადამსჯელო ღონისძიება, თუ გარეშე პირი[56] ჩართოს.

---

[50] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.ericdigests.org/1998-1/overview.htm; https://bit.ly/3bRJj5z; https://bit.ly/2Tfo1Zj

[51] *Each establishment provides education in respect of each person's convictions, and in compliance with the duty to outlaw both moral and physical violence […] and to put in place democratic practices of responsible citizenship within schools.*

[52] ონლაინ იხ.: https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-8812/

[53] ონლაინ იხ.: http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/40/section/89

[54] ონლაინ იხ.: http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/40/section/94; CYBERBULLYING AMONG YOUNG PEOPLE, European Union, 2016, გვ. 160: *... head teachers can confiscate items from pupils, request a child to reveal a message or content on their phone to establish if bullying occurred, and apply disciplinary measures for children who do not cooperate,* ონლაინ იხ.: https://bit.ly/3wQKyu2

[55] ონლაინ იხ.: http://www.legislation.gov.uk/nia/2016/25

[56] შენიშვნა: თუ ვინ იგულისხმება *გარეშე პირში*, კანონი არ აკონკრეტებს

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ განათლების დეპარტამენტს (*The Department for Education, DfE*) შემუშავებული აქვს ბულინგის პრევენციის[57] და გასაჩივრების მექანიზმის სახელმძღვანელო პრინციპები.[58]

## 5. ესტონეთი

ესტონეთის პარლამენტის მიერ კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ქვეყანა ძალადობის შესახებ პროგრამებისა და ტრენინგების მრავალფეროვნებით გამორჩეულია. ესტონეთში ბულინგის პრევენციის პროგრამები საბავშვო ბაღის ეტაპზევე ინერგება. ქვეყანაში არსებული ბაღების 80%, ხოლო სკოლების 20% ბულინგის პრევენციის დანიაში შემუშავებული პროგრამაა (*Kiusamisest vabaks!/Free of Bullying*!) დანერგილი.[59] სკოლების 20% კი აქტიურად იყენებს ფინეთში შემუშავებულ სპეციალურ ანტიბულინგ პროგრამას KiVa.[60]

## 6. კანადა

კანადის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსი ნაწილობრივ არეგულირებს ბულინგთან და კიბერბულინგთან დაკავშირებულ დანაშაულებს.[61] განათლებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში. ყველა სკოლა იღებს და ამტკიცებს ბულინგის პრევენციის მექანიზმის პოლიტიკის დოკუმენტს.[62] სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომების ძალადობის წინააღმდეგ. სკოლის საბჭოები ყოველწლიურად უზრუნველყოფენ თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას სხვადასხვა ტრენინგებითა და პროგრამებით, რაც ასევე მოიცავს ბულინგის პრევენციის პროგრამებსაც.

ძალადობის პრევენციაში ონტარიოს პროვინციის გამოცდილება საკმაოდ ფართოა. განათლების აქტი (*Education Act, R.S.O. 1990, c. E.2*)[63] სკოლის საბჭოებს

---

[57] ონლაინ იხ.: https://www.gov.uk/government/publications/preventing-and-tackling-bullying

[58] ონლაინ იხ.: https://www.gov.uk/government/publications/school-complaints-procedures

[59] *Preventive methodology aimed at creating a mutually regarding and including relationship between kindergartens and preliminary schools, behavioural culture preventing bullying by ensuring respect and tolerance towards each other, where children care about each other and, when witnessing bullying, stand up for those who cannot do it for themselves.* დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://freeofbullying.com/

[60] *KiVa adopts a whole-school approach and offers a wide range of concrete tools and materials for schools to tackle bullying. It is based on three main elements: prevention (e.g. KiVa curriculum, student lessons and online games), intervention (targeted specifically to the children and adolescents who have been involved in bullying) and monitoring (annual online surveys for both students and staff).* დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.kivaprogram.net/what-is-kiva/

[61] ონლაინ იხ.: https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-46/

[62] ონლაინ იხ.: https://www.prevnet.ca/resources/policy-and-legislation

[63] ონლაინ იხ.: https://www.ontario.ca/laws/statute/90e02

ავალდებულებს შეიმუშაონ ბულინგის პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და შემდეგ იზრუნონ მის იმპლემენტაციაზე. ქმედების გასაჩივრების მექანიზმები სკოლების მიხედვით განსხვავდება, თუმცა ონტარიოს განათლების სამინისტროს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო პრინციპები, თუ როგორ უნდა მოხდეს საჩივარზე რეაგირება.[64] ამასთან, ონტარიოს სამინისტროს მასწავლებელთა ტრენინგის სპეციალური პროგრამა (*The Policy/Program Memorandum 144: Bullying Prevention and Intervention*) აქვს შექმნილი.[65]

## 7. კვიპროსი

კვიპროსში ბულინგისა და ძალადობის პრევენციის საკითხებს სპეციალური კანონი (185(I)/2020) არეგულირებს. კანონის თანახმად, ძალადობის აღმოსაფხვრელად იქმნება სპეციალური კომიტეტები (*Committee on Health, Conduct and the Prevention of Violence in School*), რომლის წევრები მოსწავლეებიც არიან. ჯგუფი მუშაობს ძალადობის პრევენციის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ეროვნულ რეგულაციებთან უნდა იყოს თანხვედრაში.[66] კვიპროსის მიერ კვლევითი ცენტრისთვის გამოგზავნილი წერილის თანახმად, კომიტეტისათვის მიმართვის პროცედურები წინასწარ არის მკაფიოდ გაწერილი და ინციდენტის აღმოფხვრის მიზნით, პროცესი მედიატორების ჩართვასაც მოიაზრებს.

## 8. ლიტვა

კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბულინგის და კიბერბულინგის დეფინიციები მოცემულია განათლების შესახებ კანონში, რომელიც ასევე დეტალურად და ამომწურავად აწესრიგებს ბულინგის პრევენციის საკითხებს.[67] ლიტვაში, საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს, მასწავლებლებს და სხვა პერსონალს, მათ შორის, ფსიქოლოგს ეკისრება პასუხისმგებლობა მიიღოს შესაბამისი ზომები. ამასთან, ძალადობის მსხვერპლ მოსწავლეები, მშობლებთან ერთად, უფასო ფსიქოლოგიურ დახმარებას იღებენ.[68] საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა თანამშრომელს ევალება ძალადობრივ ფაქტებზე ჰქონდეს დაუყოვნებლივი რეაგირება. აღსანიშნავია, რომ ბევრმა სკოლამ წარმატებით დანერგა ანტი-ბულინგ აპლიკაცია (*Bully Box*), რომელიც

---

[64] ონლაინ იხ.: http://edu.gov.on.ca/eng/safeschools/reportingResponding.html
[65] ონლაინ იხ.: http://edu.gov.on.ca/extra/eng/ppm/144.pdf
[66] The Committee's members are appointed by the school's Headmaster, who is also the Committee's Chair, and ensures the inclusion of various representatives: teachers, students, students' parents, educational psychologists and professional orientation specialists.
[67] ონლაინ იხ: https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/eedc17d2790c11e89188e16a6495e98c?jfwid=qjs00elq1
[68] იქვე

შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს უსაფრთხოდ და ანონიმურად განაცხადონ ბულინგის ფაქტის შესახებ.

სკოლებში ძალადობის პრევენციის მექანიზმის შესახებ რეკომენდაციები მტკიცდება განათლებისა მინისტრის ბრძანებით. ძალადობისა და ბულინგის პრევენციის პროცედურა თითქმის ყველა სკოლაშია, რომელიც მუნიციპალიტეტის (*Municipal Council*) მიერაა დამტკიცებული. ლიტვაში, მასწავლებლებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები ძალადობის პრევენციის მექანიზმების შესახებ.

## 9. ნორვეგია

ნორვეგიის სკოლებში ოლვეუსის პროგრამის (*The Olweus programme*) დანერგვა 90-იან წლებში დაიწყეს, რომელიც ფსიქოლოგიის დოქტორის მიერაა შემუშავებული.[69] კვლევები აჩვენებს, რომ აღნიშნული პროგრამა საკმაოდ ეფექტიანია. მას აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული სტრუქტურა,[70] თუ როგორ უნდა დაიგეგმოს ბულინგის წინააღმდეგ პოლიტიკა სკოლაში და მთავარ არსს წარმოადგენს, სკოლაში დასაქმებული პირების მიერ მუდმივი მონიტორინგი ბავშვებზე.[71]

ნორვეგია ამ პრობლების გადაჭრაში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და საკითხს კომპლექსურად უდგება. გარდა იმისა, რომ სკოლაში ოველსის დასკვნაზე დამყარებული პროგრამა დანერგა, მან ასევე შემოიღო ქალაქის ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ბავშვთა ბულინგის საკითხებზე მუშაობს.[72] 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, სკოლებს ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის ბულინგის, მიმართ სწრაფი და სათანადო რეაგირება

---

[69] ონლაინ იხ.: http://www.violencepreventionworks.org/public/olweus_history.page

[70] Tackling violence in schools:a global perspective, Bridging the gap between standards and practice, UN, 2016, გვ. 1, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3c9l0A8

[71] ***Four principles****: Create a warm and supportive environment through adults' behavior; Set clear boundaries for what is acceptable behavior; Sanction in a non-hostile and non-physical way when unacceptable behaviour occurs; Adults at school and at home should be explicit in their roles. Action is taken* ***at three levels****: School level: administration of surveys, better monitoring of pupil behaviour during break times and regular discussion groups for staff; Class level: four clear rules against bullying, regular class meetings with pupils; Individual level: clear procedures for discussion with bullies and bully victims, and with the parents of the pupils involved,* ონლაინ იხ.: https://bit.ly/2TwwZBr

[72] Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, Expert Consultation on protecting children from bullying and cyberbullying, Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, §58, *the Ombudsman … promotes valuable "young people's recommendations" on how to address bullying behavior…important measures: teachers should listen more to pupils; schools should have regular "pupil reviews" where children can report bullying; schools should employ school psychologists; measures to maintain a good class environment should be introduced early and followed up at least twice a year; teachers should work on cases of bullying until they are resolved and be rewarded for handling them; and pupils should be informed of their rights.* ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE

მოეთხოვებათ.[73] მთავარი პასუხისმგებლობა, სწორედ სკოლის თანამშრომლებს ეკისრებათ.[74]

## 10. პორტუგალია

პორტუგალიის პარლამენტის მიერ კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბულინგი სპეციალური კანონმდებლობით (n.º 51/2012) არის აკრძალული.[75] მოსწავლეების მიერ მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური სანქციებია გათვალისწინებული. დასახელებული კანონი განსაზღვრავს ქმედების რეფერირების მექანიზმსაც. კერძოდ, ბულინგის შემთხვევაში, მოწმეს შეუძლია ამის შესახებ აცნობოს დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამოსასწორებელი ან დისციპლინური სანქციის გამოყენების თაობაზე. ამასთან, თუ ქმედება საფრთხეს უქმნის მოსწავლის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, განათლების უფლებას ან რაიმე კუთხით ზიანს აყენებს მის ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, დირექტორმა ამის თაობაზე უნდა აცნობოს ბავშვთა დაცვის კომიტეტს ან პროკურორს (*Decree-Law n.º 159/2015*).[76]

დირექტორის მიერ განსაზღვრული სანქციის აღსრულებაში მონაწილეობას იღებს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკისგან შემდგარი მულტიდისციპლინური გუნდი. პროცესი კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეს შორის მედიაციისაც მოიაზრებს. ამასთან, განათლების სამინისტრო მასწავლებელბისთვის მუდმივად ატარებს ბულინგის თაობაზე ტრენინგებს და შეიმუშავებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, მათ შორის, ონლაინ კურსებს.[77]

## 11. რუმინეთი

რუმინეთში ბულინგი სკოლაში 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით აიკრძალა.[78] გაჩნდა ჩანაწერი, სკოლის თანამშრომლების მუდმივი გადამზადების ვალდებულების თაობაზე, რათა სწრაფად მოხდეს აკრძალული ქმედების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ამასთან, განათლების სამინისტრომ შეიმუშავა

---

[73] The Education Act, chapter (9A), ონლაინ იხ.: https://bit.ly/3pkS5yI

[74] შენიშვნა: ნორვეგიაში, ოუელსის პროგრამის გარდა, დანერგილია *ZERO* პროგრამა, რომელიც ძირითადად კონცენტრირდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://bit.ly/3vJ3LO3; დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://bit.ly/3g4QYyK; https://bit.ly/3wWohuV

[75] ონლაინ იხ.: https://dre.pt/web/guest/pesquisa/-/search/174840/details/normal?p_p_auth=dczBCp4V

[76] ონლაინ იხ.: https://dre.pt/web/guest/legislacao-consolidada/-/lc/114089099/view?p_p_state=maximized

[77] იხ.: https://bit.ly/3z4Uj9Z; https://bit.ly/3poLNOF; https://bit.ly/3fFz46P; https://bit.ly/2SQBG93

[78] ონლაინ იხ.: http://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocumentAfis/219895

**სპეციალური მეთოდოლოგიური ნორმები**, რომ უკეთ მოხდეს კანონის იმპლემენტაცია.[79]

ფსიქოლოგიური ძალადობის-ბულინგის პრევენციის მიზნით, ყველა სკოლაში არსებობს მუდმივმოქმედი ჯგუფი (*anti-bullying action group*), რომელიც მაქსიმუმ 10 წევრისგან შედგება. წევრებს შორის არიან დირექტორი, სკოლის კონსულტანტი, სპეციალურად დატრენინგებული სამი მასწავლებელი, 2-3 მოსწავლე, მშობელი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი. ამ ჯგუფის მოვალეობაა შემთხვევების იდენტიფიცირება, რეაგირება და პრევენცია.

ყველა სკოლის ვალდებულებაა შეიმუშაოს შიდა რეგულაცია (*Internal Regulations, ROI, school with zero tolerance for violence*).[80] ამასთან, განათლების სამინისტრო წელს გეგმავს, სახელმძღვანელოს შემუშავებას, სადაც ასახული იქნება საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება, რომ მასწავლებლებმა უკეთ შეძლონ შემთხვევებთან გამკლავება.

## 12. სლოვენია

სლოვენიის მიერ კვლევითი ცენტრისთვის გამოგზავნილი ინფორმაციის თანახმად, ქვეყანაში ბულინგის პრევენციისთვის ბევრი ღონისძიება ტარდება როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე სხვადასხვა პროგრამის დანერგვის კუთხით. სლოვენიაში ძალადობა/ბულინგი რამდენიმე სამართლებრივი აქტით იკრძალება.

2016 წელს, სლოვენიის რესპუბლიკის განათლების ეროვნულმა ინსტიტუტმა, გამოაქვეყნა სახელმძღვანელო.[81] დოკუმენტში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებია ჩამოთვლილი.[82] სასწავლო დაწესებულებაში

---

[79] ონლაინ იხ.: https://bit.ly/2SRa8jS

[80] *The implementation of the anti-bullying plan, involves: a) information and awareness activities on the phenomenon of bullying for school staff, children and parents; b) measures of communication and internal information, at the level of the educational unit, regarding the procedures for prevention, identification, reporting and intervention of bullying situations in the school space; c) intervention procedures in situations of psychological violence-bullying; d) empowering teachers for the purpose of immediate intervention in reported or identified cases of bullying; e) organizing activities, such as contests, forum theater, etc., in order to encourage compliance with the declared values and mission of the school, participation in the identification, mediation or reporting of bullying situations; f) attracting parents to participate in debates and information sessions on bullying; g) activities for measuring the impact of the actions included in the anti-bullying plan and of the efficiency of the action group.* ონლაინ იხ.: https://bit.ly/2RfFMaj

[81] ონლაინ იხ.: https://bit.ly/3g1OKAl

[82] *1) The competent pedagogue (worker) who detects or is informed of the violence will ensure the safety and health of the child, inform the parents, talk to the child (victim) and provide emotional support. 2) No later than the next day informs the class teacher, the school guidance service, the principal (who informs the parents); and makes a record of the incident and submits it to the school guidance service. 3) School guidance service (or leadership of the educational institution) talks to the child victim and the perpetrator of violence separately and makes a record of the conversation. 4) This is followed by counselling work with the victim*

ძალადობის შეჩერება ყველას პასუხისმგებლობაა, განურჩევლად იმისა, თუ რა პოზიციაზე არიან ისინი დასაქმებულები (მასწავლებლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა). სკოლებში დასაქმებულები არიან ძალადობის პრევენციის კოორდინატორები, რომლის პირდაპირი მოვალეობაა საფრთხის იდენტიფიცირება და მსხვერპლთა დაცვა.

სლოვენიაში საკანონმდებლო ბაზისა და პროგრამების გარდა, ძლიერია რეფერირების მექანიზმები. ინციდენტის შეფასების შემდეგ, საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორი პროცესში რთავს პოლიციას და სოციალურ სამსახურს (*Social work centre*). სკოლებში აქტიურად გამოიყენება მედიაციის პროცესი, თუ მასში მონაწილეობა ორივე მხარეს სურს. ამ პროცესის დატვირთვა არა მხოლოდ ერთი კონფლიქტის მოგვარება, არამედ, მოზარდებში ინტერ-პერსონალური უნარების გამომუშავებაცაა.

განათლების სამინისტრო პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამას ნერგავს, მათ შორისაა უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესახებ ტრენინგები. პოლიცია ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ ლექციებს ატარებს საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. სლოვენიაში ბულინგთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კიბერბულინგის (მათ შორის ე.წ. *trolling*) პრობლემას და მის თანმდევ საფრთხეებს.[83] ძალადობის სწრაფად აღმოფხვრის მიზნით, მოსწავლეებს საფრთხეების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდებათ. ამ კამპანიებში პოლიციაც აქტიურადაა ჩართული.

## 13. უნგრეთი

კვლევითი ცენტრისთვის გამოგზავნილი წერილის თანახმად, უნგრეთმა 2020 წელს შეიმუშავა მთავრობის ბრძანება, რომელიც ბულინგისა და ძალადობის პრევენციას ეძღვნება.[84] სკოლის ვალდებულებებს შორისაა, პროცესში სკოლის ფსიქოლოგის ჩართვა. იმავე წელს, უნგრეთის პარლამენტმა, სკოლაში სპეციალური მცველების (*school guard institution*) თანამდებობა შემოიღო: გადაამზადა 504 მცველი (ოფიცერი), რომლებიც მუშაობდნენ საპოლიციო სისტემაში და სკოლაში მოვალეობას 2020 წლის სექტემბრიდან ახორციელებენ. ამასთან, სკოლაში 500

---

*and the perpetrator (parents are also invited). Within three working days at the latest, an internal team (the counsellor, the class teacher the principal, coordinator from the social work centre) is convened. 5) The tasks of the team are drawing up a plan to help the victim, planning educational measures for the perpetrator, planning work with parents, the department, observers, etc. cooperating with external institutions.*

[83] *Trolling: deliberately provoking or inciting a response by using offensive and inappropriate language; Cyberbullying can include threats, insults, bullying, extortion and blackmail, sending images and/or other media without a person's consent via mobile or technological devices, etc. It can also turn into sending vulgar and inappropriate images. Victims have their identity, personal data or social network passwords stolen.*

[84] ონლაინ იხ.: https://njt.hu/jogszabaly/2020-12-20-22

მოსწავლეზე მინიმუმ ერთი ფსიქოლოგის მუშაობა სავალდებულოა. ასევე, სასურველია სოციალური მუშაკის დასაქმება, რომელიც ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეხვედრებს ატარებს და გეგმავს სოციალურ აქტივობებს. ბულინგის პრევენციისთვის მასწავლებლებს ყოველწლიურად უტარდებათ ტრენინგი კონფლიქტის მოგვარებისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე.[85]

## 14. ფინეთი

ფინეთი, სკოლაში ჩაგვრის პრევენციის კუთხით, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. ბულინგის საწინააღმდეგო პროგრამა (*KiVa*) დანერგილია ფინეთის სკოლების 90 პროცენტში, რომელიც სამ ასპექტს მოიცავს: პრევენციას, ინდივიდუალურ შემთხვევებზე რეაგირებას და მუდმივ დაკვირვებას.[86] კვლევების უმრავლესობა აჩვენებს, რომ პროგრამის დანერგვის შემდეგ ძალადობის შემთხვევები საგრძნობლადა არის შემცირებული.[87] ამ პროგრამის მთავარ ფოკუსს წარმოადგენენ ბულინგის დამკვირვებლები (bystanders) და ორიენტირებულია მოწმეთა გააქტიურებაზე. ბავშვებს სხვადასხვა თამაშებით ასწავლიან, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ძალადობას და რა უნდა მოიმოქმედონ მსგავს შემთხვევაში. ჩაგვრის ფაქტებზე სკოლაში არსებული სპეციალური გუნდი (*KiVa team*) რეაგირებს.[88]

ფინეთის პარლამენტის მიერ კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანონმდებლობა (*Basic Education Act*) ბულინგზე/შევიწროებაზე რეაგირების პასუხისმგებლობას მასწავლებელსა და დირექტორს აკისრებს. მასწავლებლების გარდა, სკოლაში დასაქმებულები არიან ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.

## 15. შვედეთი

სხვადასხვა კვლევის თანახმად, შვედეთის სკოლებში საგრძნობლად არის შემცირებული ბულინგის შემთხვევები.[89] შვედეთმა 20016 წელს მიიღო განათლების შესახებ კანონი (*Education Act*), რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების ინდიკატორებს და რეაგირების პროცედურებს.

---

[85] *The aim of the ENABLE program is that students acquire conflict resolution skills and learn how to manage their anger. Besides, the Basic Training in Mental Health for Teachers aims to enable the participating teachers to become familiar with and effectively apply mental health treatment methods.*

[86] Kiusaamista vastaan (KiVa™) means "against bullying", and is a method developed at the University of Turku in Finland. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.kivaprogram.net/program

[87] Office of the special representative of the Secretary-General on Violence against children, Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, 2016, §53, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE

[88] ონლაინ იხ.: https://www.buzzworthy.com/finland-way-to-fight-bullying/

[89] ონლაინ იხ.: https://www.thelocal.com/20150321/oecd-sweden-has-least-school-bullying

კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანონი არ განმარტავს ბულინგის ცნებას და იყენებს ტერმინს **დამამცირებელი მოპყრობა** (*Degrading treatment*).[90] რეგულაციების თანახმად, სკოლაში დასაქმებულ პირებს ძალადობის შემთხვევების გამოვლენა ევალებათ.[91]

მსგავსი, მოწესრიგება აქვს კიდევ ერთ წარმატებულ ქვეყანას - **დანიას,** სადაც სკოლები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის დოკუმენტი და შექმნან სკოლაში ჯანსაღი სასწავლო გარემო.[92]

## 16. ჰოლანდია

2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად,[93] ჰოლანდიაში სკოლის ხელმძღვანელები და თანამშრომლები ვალდებულნი არიან ჯანსაღი გარემო შექმნან და მოსწავლეების ურთიერთობებს მონიტორინგი გაუწიონ.[94] მთავარი პასუხისმგებლობა სკოლას ეკისრება, რომელმაც შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი უნდა შეიმუშავოს. სკოლებში უნდა განსაზღვროს საკონტაქტო პირი, რომელსაც მოსწავლეები ძალადობის ფაქტების თაობაზე მიმართავენ და მას ექნება რეაგირების უფლებამოსილება.[95] ჰოლანდიის პარლამენტის მიერ კვლევითი ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მასწავლებლებს ძალადობის პრევენციის მიზნით მუდმივად უტარდებათ ტრენინგები.[96]

## 17. ქვეყნებისთვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციები

ჩატარებულმა შედარებით-სამართლებრივმა კვლევამ ცხადყო, რომ ბულინგთან ბრძოლის გზა სხვადასხვა ასპექტს მოიცავს და რამდენიმე საფეხურიანია:

→ **საკანონმდებლო ჩარჩო** - ზოგიერთი ქვეყანა ამჯობინებს ბულინგის ამკრძალავი სპეციალური კანონი/აქტი ჰქონდეს, ზოგი კი შესაბამის ჩანაწერს განათლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო დოკუმენტში აკეთებს.

---

[90] *Conduct that violates a child's or pupil's dignity, without being defined as discrimination, for instance, degrading language, the spread of rumours, mockery, threats, or physical violence.* Chapter 6, sections 3 and 9, Skollagen (2010:800).

[91] Office of the special representative of the Secretary-General on Violence against children, Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, 2016, §86, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE; https://bit.ly/3fKJhyZ

[92] იქვე, §89; Parallel report to the Un Committee on the Rights of the Child Denmark 2016, გვ.21, ონლაინ იხ.: https://bit.ly/3yZZzf0

[93] ონლაინ იხ.: https://zoek.officielebekendmakingen.nl/stb-2015-238.html

[94] Office of the special representative of the Secretary-General on Violence against children, Background paper on protecting children from bullying and cyberbullying, 2016, §88, ონლაინ იხ.: https://bit.ly/34BStPE

[95] Cyberbullying among young people, European Union, 2016, გვ. 128, ონლაინ იხ: https://bit.ly/3yVB827

[96] დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://bit.ly/3wMQK6f

→ **სამოქმედო გეგმა/პოლიტიკის დოკუმენტი** - წარმატებული ქვეყნების პრაქტიკამ ცხადყო, რომ წარმატება მხოლოდ საკანონმდებლო აქტზე დაყრდნობით ვერ მიიღწევა და აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით საერთო პოლიტიკის/პროგრამის შემუშავება. კერძოდ, თუ რა სტრატეგიით უნდა გაუმკლავდეს ქვეყანა სკოლაში ფესვგადგმულ ძალადობას. სტრატეგიათა უმრავლესობა ემყარება განათლების მეცნიერებაში დამკვიდრებულ და გამოცდილ სხვადასხვა პროგრამას/მეთოდს რაც კვლევაში მიმოხილულია.

→ **სკოლა, როგორც მთავარი ელემენტი** - პრობლემის მოგვარებაში მთავარ როლი სკოლას აქვს. შესაბამისად, ქვეყნების უმრავლესობაში სკოლა ვალდებულია (I) შექმნას შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება ზუსტი პროცედურები, მოსწავლეების/მასწავლებლების ვალდებულებები, ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები. (II) ასევე, სკოლაში ყველა მასწავლებელი კარგად არის გათვითცნობიერებული, თუ რას წარმოადგენს ბულინგი და როგორ ამოიცნონ ბულინგის ნიშნები. ზოგ, ქვეყანაში პასუხისმგებლობაც გათვალისწინებულია, თუ მასწავლებელი ძალადობის ფაქტზე სათანადო რეაგირებას არ აკეთებს. (III) ყველა მასწავლებელს ბულინგის საკითხებზე უტარდება ტრენინგი, რომ მათ შეძლონ შემთხვევების დროული იდენტიფიცირება და ეფექტური რეაგირება. (IV) სასურველია, გამოიყოს სპეციალური საკონტაქტო პირი, რომელსაც მოსწავლე მიმართავს ბულინგის თაობაზე და მას ექნება რეაგირების უფლებამოსილება. გარდა იმისა, რომ სკოლებში ყველა მასწავლებელი არის სპეციალურად გამზადებული, სკოლების უმრავლესობას ცალკე ჰყავს გამოყოფილი ფსიქოლოგი/მედიატორი/სოციალური მუშაკი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბულინგის მონაწილეებთან. თუმცა, ანალიზმა ცხადყო, რომ ყველა სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი ან სპეციალური განათლების მქონე პირი, მაგრამ პირს, რომელსაც ევალება ბულინგის საკითხების გადაწყვეტა, გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება. (V) ამასთან, პროგრამების უმეტესობა, ითვალისწინებს ბავშვებში ბულინგის შედეგის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას.

→ **რეაგირება** - პირველად შესწავლას და რეაგირებას სკოლა აკეთებს. შემდგომ, ქმედება შესასწავლად გადაეცემა თუ არა შესაბამის ორგანოს, დამოკიდებულია ქმედების სიმძიმეზე და თუ რა საკანონმდებლო რეგულაცია არსებობს.

# V. რეკომენდაციები

კვლევით დოკუმენტში სრულად არის გაანალიზებული *ბულინგის* აღმოფხვრის თაობაზე რელევანტური საერთაშორისო წყაროები და სტანდარტები. ცენტრის მიერ მომზადებული შედარებით-სამართლებრივი ანალიტიკური კვლევა მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკას. ბავშვთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვისთვის მიზანშეწონილია, კვლევის შედეგად გამოკვეთილი შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- **საკანონმდებლო დონეზე** უნდა გაიწეროს სკოლაში ბულინგთან ბრძოლის საკითხებზე რეაგირებისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ვალდებულება. ანალოგიური მიდგომა აქვს **შვედეთსა და რუმინეთს,** რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების ინდიკატორებს და რეაგირების პროცედურებს;
- **აღმასრულებელ დონეზე** უნდა შეიქმნას დოკუმენტი, სადაც წინასწარ გაწერილი იქნება ბულინგთან ბრძოლის სტრატეგიისა და რეაგირების დოკუმენტის კომპონენტები. მაგალითად, **ავსტრიის, გაერთიანებულ სამეფოს, რუმინეთს და სლოვენიის,** განათლების სამინისტროებს შემუშავებული აქვთ ბულინგთან ბრძოლის სპეციალური სახელმძღვანელო დოკუმენტები (ბულინგის პრევენციის, გასაჩივრების მექანიზმი და რეაგირების პროცედურა);
- **სამინისტროების ჩართულობით,** გაანალიზდეს საერთაშორისო დონეზე არსებული ყველა წარმატებული პროგრამა და ისინი მოდიფიცირდეს საქართველოში არსებული გამოწვევების შესაბამისად (მაგ. ბელგია - *positive report card*; ირლანდია - *Pathways Programme; "No blame" approach-Maines and Robinson 1992; "Method of shared concern"- Pikas 2002*; ნორვეგია-*The Olweus programme*; ფინეთი - *KiVa*; დანია - *Kiusamisest vabaks!*);
- **ყველა სკოლამ** სსიპ მანდატურის სამსახურის რეკომენდაციებისა და ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, უნდა შეიმუშაოს, ბულინგის შემთხვევაზე რეაგირების რეგულაცია და ძალადობის პრევენციის სტრატეგია (პოლიტიკის დოკუმენტი). სკოლამ წინასწარ უნდა შეიმუშაოს ბულინგის ამოცნობის ინდიკატორები, გაწეროს ქმედების კონფიდენციალურად გასაჩივრების მარტივი მექანიზმი და რეაგირების პროცედურები. ამასთან, ყველა პროცედურა მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი და ყველა ბავშვისთვის თანაბრად მისაწვდომი. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თანასწორობის დაცვა და მოწყვლადი ჯგუფებისათვის მექანიზმის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- **სკოლებში** უნდა განსაზღვროს საკონტაქტო პირი, რომელსაც მოსწავლეები ძალადობის ფაქტების თაობაზე მიმართავენ და მას ექნება რეაგირების

უფლებამოსილება. შესაძლოა, ეს პირი იყოს მანდატური (მაგ. **უნგრეთში** ამ მოვალეობას ასრულებს school guard institution). ამასთან, **ყველა სკოლას** უნდა ჰყავდეს ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. თანამშრომლების რაოდენობა უნდა იყოს მოსწავლეთა პროპორციული;

- → **სკოლამ** ბავშვებს ქმედების გასაჩივრების კონფიდენციალური გზა უნდა შესთავაზოს. მაგალითად, ლიტვაში ბევრმა სკოლამ წარმატებით დანერგა ანტი-ბულინგ აპლიკაცია (Bully Box), რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს უსაფრთხოდ და ანონიმურად განაცხადონ ბულინგის ფაქტის შესახებ. ასევე, ბავშვთა სატელეფონო დახმარების 24 საათიანი ხაზი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ძალადობის შესამცირებლად, რადგან ბავშვებს კონფიდენციალურობის მეტი გარანტია აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ ეს პლატფორმები იყოს მარტივად ხელმისაწვდომი და მათი არსებობის თაობაზე, ყველა ბავშვს ჰქონდეს ინფორმაცია;
- → **ყველა სკოლაში** ძალადობაზე რეაგირების მიზნით, სასურველია არსებობდეს მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომლის წევრები არიან დირექტორი, სკოლის ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი, სპეციალურად დატრენინგებული რამდენიმე მასწავლებელი და მანდატური. სასურველია, ჯგუფში მოსწავლეებისა და მშობლების მოწვევა. **რუმინეთში** ასეთი ჯგუფის მოვალეობაა შემთხვევების იდენტიფიცირება, რეაგირება და პრევენცია.
- → **სკოლის ადმინისტრაცია** მუდმივად უნდა ისმენდეს ბავშვების პოზიციებს, რაც თავის მხრივ ზრდის მათ ჩართულობას. მაგალითად, დაწესდეს პარლამენტის დღე ბავშვებისათვის, როდესაც მათ შეუძლიათ გააჟღერონ სკოლაში არსებული პრობლემები და ხმა მისცენ მისი გადაჭრის გზებს (**დანიის პრაქტიკა**);
- → **სამინისტროებისა და სხვადასხვა აქტორების** ჩართულობით, უნდა მოხდეს სსიპ მანდატურის სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების, ტრენინგმოდულებისა და დოკუმენტების პრაქტიკაში აქტიურად დანერგვა. სასურველია, რამდენიმე დოკუმენტის მოდიფიცირება, გამოქვეყნება და საჯაროდ განთავსება, ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამასთან, კვლევითმა ცენტრმა მანდატურის სამსახურის მიერ შემუშავებული ყველა დოკუმენტი ინდივიდუალურად გაანალიზა და რეკომენდაციები შეიმუშავა, რაც ასახულია წინამდებარე დოკუმენტში და სასურველია გათვალისწინებული იყოს.
- → **სამინისტროებისა და სხვადასხვა აქტორების** ჩართულობით, უნდა შემუშავდეს სპეციალური მოდულები და მასალები, რომლის დახმარებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს ინფორმაცია მარტივი ფორმით მიაწოდონ ძალადობის სხვადასხვა ფორმის თაობაზე. ამ ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს საგაკვეთილო პროცესის ბუნებრივი ნაწილი. ამასთან, სასურველია სკოლებში ისწავლებოდეს ფსიქოლოგია, ან სხვა გაკვეთილები

ეთმობოდეს მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციასა და უნარების გაძლიერებას. მაგალითად, მედიაციის და კონფლიქტთან გამკლავების უნარების გამომუშავებას, დაჯგუფებაში ჩართვის პრევენციას, სტრესის მენეჯმენტსა და თვითშეფასებაზე მუშაობას (სსიპ მანდატურის სამსახურის ტრენინგ-მოდულების საფუძველზე);

→ **სამინისტროების ჩართულობით,** აუცილებელია, ყველა მასწავლებლის მუდმივი გადამზადება და ცნობიერების ამაღლება ზემოთდასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით (სსიპ მანდატურის სამსახურის ტრენინგ-მოდულების საფუძველზე);

→ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ **ბულინგი დისკრიმინაციასთან მჭიდრო კავშირშია** და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან. ისინი შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებული პირები, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის წარმომადგენლები. შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანასწორობას და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებას ამ საკითხებზე;

→ ძალადობის შემთხვევები ძირითადად ხდება ისეთ ადგილებში, სადაც მასწავლებელთა კონტროლი ნაკლებია. შესაბამისად, **სკოლის თანამშრომლებმა** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ასეთ ადგილებს;

→ ბულინგის ყველა ფორმაზე **სკოლის ადმინისტრაციას** უნდა ჰქონდეს მკაფიო გზავნილი, რომ ეს დაუშვებელია. ეს უნდა მოხდეს შემთხვევის სათანადო გამოძიებითა და, ქცევის სიმძიმის გათვალისწინებით, პროპორციული და კრეატიული ზომების გამოყენებით. დაუშვებელია ქმედების რეაგირების გარეშე დატოვება.

→ აუცილებელია ბულინგში ჩართული ყველა მხარისათვის, მათ შორის მშობლებისთვის, კონფიდენციალური ფსიქოლოგიური კონსულტაციის შეთავაზება;

→ უნდა შეიქმნას სასწავლო ონლაინ პლატფორმა, რომელიც ძალადობის პრევენციისკენ არის მიმართული. მაგალითად, კიბერბულინგთან ბრძოლის სტრატეგიებიდან, აღსანიშნავია Facebook-ისა და იელის (*Yale Center for Emotional Intelligence*) კოლაბორაცია და შექმნილი პლატფორმა (*Bullying Prevention Hub: Put a Stop to Bullying*).

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ცენტრი